სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი




დაფინანსების წყარო:

**აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) დაფინანსებული პროგრამა - „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების მხარდაჭერა, აივ/შიდსით დაავადებულთა სიცოცხლის მაჩვენებლების გაუმჯობესება მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერების გზით“ (GEO-H-NCDC)**

# აივ ინფექცია/შიდსის პრევენციული სერვისების ელექტრონული სისტემის შექმნის მომსახურების შესყიდვა

(**CPV კოდი 48600000 -** მონაცემთა ბაზისა და ოპერაციული პროგრამული პაკეტები
**CPV კოდი 48613000** ელექტრონული მონაცემების მართვა)

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის
სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. თბილისი
2015 წელი

# ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის .....3-5 გვ.

2. შესყიდვის ობიეტი .....6 გვ.

3. ტექნიკური დავალება .....6 გვ.

4. პროექტის მიზანი და ამოცანები .....7 გვ.

5. სამუშაოს მოცულობა და ფაზები .....8 გვ.

6. პრეტენდენტის მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები .....9 გვ.

7. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი ინფორმაცია .....9 გვ.

8. დამატებითი ინფორმაცია.. .....10 გვ.

9. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი .....11-14 გვ.

10. დანართი N1, რეკვვიზიტები .....15 გვ.

11. დანართი N2, აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა .....16 გვ.

12. დანართი N3, პროექტის განხორციელების საორიენტაციო გეგმა .....17 გვ.

13. დანართი N4, პროექტის ბიუჯეტის/განფასების ნიმუში .....18 გვ.

## 1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.

1.2. სატენდერო წინადადების წარდგენისათვის უნდა იყოთ დარეგისტრირებული სისტემაში მიმწოდებლის სტატუსით. შემდეგ ვალდებული ხართ გაეცნოთ აფიდავიტს და დაეთანხმოთ მას (გაცნობას და თანხმობას ადასტურებთ სისტემის მეშვეობით, აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა იხ. დანართი №1).

1.3. ამის შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია ჯერ წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია, ხოლო შემდეგ გადაიხადოს ტენდერში მონაწილეობის საფასური.

1.4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%–ის ოდენობით. ტენდერში მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 ლარს.

1.5. ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების გაუმართაობის შემთხვევაში, ყოველ კონკრეტულ ტენდერში, ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშეც, სააგენტოსთან შეთანხმებით, ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვამდე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესით“ გათვალისწინებული პროცედურების გამოყენებით. სააგენტოს წინასწარი თანხმობის მიღება ხდება წერილობითი ფორმით ან სააგენტოს ელექტრონული ფოსტის info@procurement.gov.ge მეშვეობით. აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე თქვენ არ გექნებათ სატენდერო წინადადების წარდგენისა და, შესაბამისად, ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა.

1.6. ამ ინსტრუქციის 1.5. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც ხდება ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა სისტემის გამოყენების გარეშე, ელექტრონული გარანტიის დედანი და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინება შემსყიდველ ორგანიზაციას. აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე თქვენ არ გექნებათ სატენდერო წინადადების წარდგენისა და შესაბამისად ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა.

1.7. ელექტრონული გარანტიის ოდენობა შეადგენს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, ხოლო ვადა განისაზღვრება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში „წინადადებების მიღება დაწყებულია“ სტატუსით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებიდან არანაკლებ - 120 კალენდარული დღით (გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში) და 160 კალენდარული დღით (ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში).

1.8. ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტს შეუძლია წარადგინოს წინადადება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ეტაპზე. პრეტენდენტის მიერ წარდგენილი წინადადება ძალაშია აღნიშნული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

1.9. სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან.

1.10. ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა.

1.11. ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მიუთითოთ თქვენი სატენდერო წინადადების ფასი.

1.12. სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც იყოფა ძირითად დროდ და დამატებით 3 რაუნდად.

1.13. ძირითად დროში უფლება გაქვთ ცვალოთ თქვენი ფასი, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებითა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ბიჯზე არანაკლები ოდენობით.

1.14. ბიჯი არის სატენდერო წინადადების ფასის კლების წინასაწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.

1.15. ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდები – ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი სამი რაუნდი (შემდგომში დამატებითი რაუნდები), რომელიც იწყება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ძირითადი დროის დასრულებისთანავე და გრძელდება ამავე პუნქტის „მ“ ქვეპუნქტით
გათვალისწინებული ეტაპის დაწყებამდე. პირველი დამატებითი რაუნდი იწყება ხუთწუთიანი შესვენებით, ხოლო შემდგომი თითოეული დამატებითი რაუნდის დაწყებამდე მიმდინარეობს ორწუთიანი შესვენება. თითოეულ დამატებით რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც თითოეულ პრეტენდენტს განესაზღვრება ორი წუთი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და პრეტენდენტს უფლება აქვს დამატებით რაუნდში მონაწილეობა არ მიიღოს და, შესაბამისად, ძალაში დარჩება მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ზემოთ აღნიშნული პრინციპით ფასის შემცირებას ან მის იგივე ოდენობით დატოვებას.

1.16. დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარადგინეს წინადადება დადგენილი წესით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში პირველ შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე მაღალი ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ

მომდევნო რაუნდში - კი ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე მაღალი ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში პირველ შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ბოლომ დააფიქსირა ასეთი ფასი.

1.17. მას შემდეგ, რაც დასრულდება დამატებითი რაუნდები, სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით. ამის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია.

1.18. იმ შემთხვევაში თუ ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი.

1.19. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომელთა წარმოდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუემნტაციის არსებით ცვლილებას და არ მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე, შემსყიდველი მას განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არაუმეტეს 3 სამუშაო დღისა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისათვის.

1.20. თუ პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაცემი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით, რისთვისაც განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არა უმეტეს 5 სამუშაო დღისა.

1.21. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში შესაძლებლია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. პრეტენდენტს ასევე, უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს სისტემის მეშვეობით, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით წარმოდგენის ვალდებულება პრეტენდენტს წარმოეშობა ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის.

1.22. იმ შემთხვევაში თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა წარმატებით გაირა ყველა ზემოთ მოყვანილი ეტაპი (არ იქნა დისკვალიფიცირებული), ამ პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების სატენდერო განცხადებასთან და სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც სატენდერო დოკუმენტაცია არ შეიცავდა პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენის მოთხოვნას - სატენდერო კომისიის მიერ სატენდერო წინადადების სატენდერო განცხადებასთან და სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტს განუსაზღვრავს ვადას ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ან დაზღვევის წარმოსადგენად და ხელშეკრულების დასადებად არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ან დაზღვევის მოთხოვნა არ ხდება, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტს განუსაზღვრავს ვადას ხელშეკრულების დასადებად არაუუმეტეს 5 სამუშაო დღისა.

1.23. პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის,
გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების გათვალისწინებით, არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას;

ბ) თუ პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე;

გ) თუ მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას;

დ) თუ ის არ დააზუსტებს ტექნიკურ დოკუმენტაციას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ ვადაში;

ე) თუ ის არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა დაცვით;

ვ) თუ ის არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში), უარს აცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან/და სხვაგვარად გამოხატავს უარს ხელშეკრულების დადებაზე;

ზ) თუ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

1.24. ამ ინსტრუქციის 1.23. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს.

1.25. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ და „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის შემდეგ ელექტრონული გარანტია უბრუნდება პრეტენდენტს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

ა) პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე;

ბ) პრეტენდენტი შეყვანილია შავ სიაში შესაბამისი ტენდერის ჩატარების შედეგად;

გ) პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია ამ წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „გ“, „ე“-„ზ“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

1.26. იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული გარანტიის პრეტენდენტისათვის დაბრუნება მოხდება ამ ინსტრუქციის 1.25. პუნქტით დადგენილი პირობების დარღვევით, პრეტენდენტი ვალდებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაუბრუნოს საგარანტიო თანხა შესაბამისი მოთხოვნისთანავე.

1.27. ელექტრონული ტენდერის შეწყვეტა

ა) სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი, თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრედენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ, მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას.

ბ) სატენდერო კომისიას უფლება აქვს გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის შემთხვევებში ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;

გ) შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, შესყიდვაში მონაწილე პირებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, აანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.28. ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.29. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.30. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.31. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.32. პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება

## 2. შესყიდვის ობიეტი

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის ( The Global Fund to Fight AID, Tuberculosis and Malaria) დაფინანსებული „საქართველოში აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების მხარდაჭერა, აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა სიცოცხლის მაჩვენებლების გაუმჯობესება მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერების გზით“ პროგრამის (პროგრამა სრულდება 2015 წლის დეკემბერში) ფარგლებში აივ ინფექცია/შიდსის პრევენციული სერვისების ელექტრონული სისტემის შექმნის მომსახურება. აღნიშნული მომსახურება, ასევე ითვალისწინებს ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებზე, სახელმწიფო და დონორული დაფინანსებით (ძირითადი ფოკუსით გლობალური ფონდით დაფინანსებულ სერვისებზე) აივ ინფექცია/შიდსის პრევენციული სერვისების მიწოდების ელექტრონული რეგისტრაციისა და შესაბამისი ანალიტიკური მოდულის შექმნას.

შესყიდვის ობიექტის ღირებულება: 42,000.00 (ორმოცდაორი ათასი) ლარი.

*სატენდერო განცხადებით გათვალისწინებული წინადადების ფასი არის დღგ-ის გარეშე, შესაბამისად, პრეტენდენტის წინადადების ფასი არ უნდა ითვალისწინებდეს დღგ-ს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დღგ-ის გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შერჩევა-შეფასება განხორციელდება წარმოდგენილი წინადადების ფასების მიხედვით. შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების ღირებულებაში გაითვალისწინებს სატენდერო წინადადების ფასის შესაბამის დღგ-ს ოდენობას, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისთვის პრეტენდენტი არის დღგ-ის გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.*

მომსახურების მიწოდების ვადები: ივნისი 2015 - დეკემბერი 2015

**განმარტებები:**

აივ ინფექცია - ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფექცია

შიდსი - შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი

სგგდ - სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები

ნკტ - აივ ინფექციაზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება

გლობალური ფონდი - აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდი (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria)

ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემა - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემა

## 3. ტექნიკური დავალება

2003 წლიდან აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მხარდაჭერით ქვეყანა უზრუნველყოფს აივ ინფექციის/შიდსის წინააღმდეგ მიმართული პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებების დაფინანსებას. 2014 წლიდან გლობალური ფონდის გრანტის ძირითადი მიმღები სსიპ - ლ. საყვარელიძის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრია. ამ დროისთვის გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული შიდსის პროგრამის ფარგლებში მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციებიდან ოთხი ორგანიზაცია სამიზნე ჯგუფების შესაბამისად ახორციელებს პრევენციულ და სამკურნალო ღონისძიებებს.

სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამების ფარგლებში აივ ინფექცია/შიდსის პრევენციული სერვისების მიწოდება ხორციელდება აივ ინფექცია/შიდსის სახელმწიფო პროგრამისა და სხვა ჯანდაცვითი პროგრამების შესაბამისი კომპონენტების სახით კონკრეტულ სამიზნე მოსახლეობაში.

მონაცემთა რეგისტრაციისა და შენახვის საშუალებები ინდივიდუალური და არასტანდარტულია, როგორც გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული აივ ინფექცია შიდსის პროგრამის, ასევე სახელმწიფო ჯანდაცვითი

პროგრამების განმახორციელებლებისთვის. რაც თავის მხრივ ქვეყნის მასშტაბით პრევენციული ღონისძიებების შესახებ სარწმუნო და ერთიანი ანალიტიკური ინფორმაციის ფორმირების ბარიერს წარმოადგენს.

გლობალური ფონდის აივ ინფექცია/შიდსის პროექტის ფარგლებში დაკონტრაქტებული განმახორციელებლები უზრუნველყოფენ პრევენციული სერვისების მიწოდებას შემდეგ სამიზნე ჯგუფებზე:

- ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლები;
- კომერციული სექს მუშაკი ქალები;
- მამაკაცები, რომელთაც აქვთ სექსი მამაკაცებთან;
- აივ ინფიცირებული პოპულაცია.

თითოეული ჯგუფისთვის განსაზღვრულია პრევენციული ღონისძიებების პაკეტი, რომელიც მოიცავს როგორც ნებაყოფლობით კონსულტირებას და ტესტირებას აივზე, ასევე ტესტირებას ჰეპატიტებზე (HBV,HCV), სგგდ-ზე, სხვადასხვა სახის კონსულტაციებითა და სახარჯი მასალით უზრუნველყოფას.

სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამების ფარგლებში სამიზნე პოპულაციებში (აივ ინფექცია/შიდსის და უსაფრთხო სისხლის პროგრამის მოსარგებლეები, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამის ბენეფიციარები და სხვ) ტარდება ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება აივზე, ასევე ტესტირება სგგდ-სა და C ჰეპატიტზე. მომსახურების მიწოდებაში ჩართულია სხვადასხვა სერვისის მიმწოდებელი დაწესებულება ქვეყნის მასშტაბით.

ზემოაღნიშნული კომპონენტების ფარგლებში მონაცემთა ნაწილის ანგარიშგება და შენახვა ხორციელდება ლ. საყვარელიძის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ბაზაზე.

ამ დროისთვის ქვეყანაში არ არსებობს ერთიანი ელექტრონული სისტემა სადაც ხდება ყველა ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში მიწოდებული სერვისების რეგისტრაცია და ანალიზი.

## 4. პროექტის მიზანი და ამოცანები

პროექტის მიზანია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ ელექტრონული ჯანდაცვის სისტემის გაძლიერებისა და დახვეწის პროცესის მხარდაჭერა აივ ინფექცია/შიდსის პრევენციული სერვისების ელექტრონული სისტემის შექმნის გზით.

მიზნის მისაღწევად განსაზღვრულია სულ მცირე შემდეგი ამოცანების შესრულება:

ა) ბიზნეს პროცესის ანალიზი და შეფასება;

ბ) მოსახლეობის აივ ინფექცია/შიდსის პრევენციული სერვისებით მოცვის შესახებ ინფორმაციის შეგროვების ცენტრალიზებული ხელსაწყოს ფორმირება;

დ) მონაცემების დამუშავებისა და შესაბამისი ანალიტიკური ინფორმაციის ფორმირების ხელსაწყოს შექმნა (ე.წ Dashboard და სხვა);

დ) ელექტრონული სისტემის დანერგვა შემსყიდველ ორგანიზაციაში და გლობალური ფონდის გრანტის ფარგლებში შესაბამისი მომსახურების მომწოდებლ ორგანიზაციებში;

ე) საჭიროების შესაბამისად, პრევენციული სერვისების ელექტრონული სისტემის ინტეგრაცია ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის შესაბამის მოდულებთან, საჭიროების შემთხვევაში კი განმახორციელებლების მიერ ოპერირებად სხვა სისტემებთან პროგრამული ბმის/სინქრონიზაციის უზრუნველყოფა.

** ეს უკანასკნელი მოითხოვს შესაბამის ორგანიზაციების თანხმობას, რომლის უზრუნველყოფა წარმოადგენს შესყიდველის ვალდებულებას.*

## 5. სამუშაოს მოცულობა და ფაზები

**ფაზა 1: ბიზნეს პროცესის ანალიზი და შეფასება**

- არსებული პროცესების, ინფორმაციის წყაროების, ინფორმაციის ნაკადის შესწავლა და ანალიზი, საჭიროებების დეტალური შესწავლა და შეფასება;
- პროგრამული არქიტექტურის და ლოგიკის განსაზღვრა;
- დეტალური ტექნიკური მახასიათებლებისა და სამუშაო გეგმის ფორმირება განმახორციელებელ ორგანიზაციებთან და შემსყიდველ ორგანიზაციასთან  რეგულარული კომუნიკაციისა და კოლაბორაციის შედეგად;

*შესაბამისი ანგარიშის მომზადება და შესყიდველისთვის წარდგენა.*

**ფაზა 2: პროდუქტის ფორმირება**

- სერვისის მიმწოდებლებისთვის სპეციფიური შეყვანის ფორმის მქონე ქვე-მოდულების და ინტერფეისის იდენტიფიცირება;
- მონაცემთა ბაზისა და ინტერფეისის შექმნა;
- მომხმარებელთა როლებისა და წვდომის დონეების განსაზღვრა;
- მონაცემთა ვალიდაციის მექანიზმების განსაზღვრა და დანერგვა;
- სერვისის მიმწოდებლებისთვის და განმახორციელებლისთვის სპეციფიური ანგარიშებისა და მონაცემების ექსპორტირების ფუნქციის დანერგვა;
- ტენიკური და სხვა შესაძლებლობის (წინასწარი თანხმობა) შემთხვევაში გარე სისტემებთან ბმა და ინტეგრაცია (ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის შესაბამისი მოდულები, საჭიროების შემთხვევაში განმახორციელებლების მიერ ოპერირებადი სხვა სისტემები.) ინტეგრაციის პროცესმა უნდა მოიცვას ბმა არსებულ მოდულებთან და ინფორმაციის ბილატერალური გაცვლა, მონაცემთა ვალიდაციის მექანიზმები. ამოცანების შესრულების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის და ასეთის არსებობის შემთხვევაში განმახორციელებლების მიერ ოპერირებადი სისტემების პროგრამული პლატფორმა და არქიტექტურა ინტეგრაციის მაღალი თავსებადობის უზრუნველსაყოფად. ამასთან პროგრამული არქიტექტურის განსაზღვრისას სავალდებულად უნდა იყოს გათვალიწინებული არსებული პროცესების, ინფორმაციის წყაროების, ინფორმაციის ნაკადის შესწავლის და ანალიზის, საჭიროებების დეტალური შესწავლის და შეფასების შედეგები.
- ანალიტიკური მოდულის კომპონენტებისა და ფორმატის, ინდიკატორების განსაზღვრა.
- ანალიტიკური მოდულის შექმნა (ე.წ Dashboard)

*შესაბამისი ანგარიშის მომზადება და შესყიდველისთვის წარდგენა.*

**ტესტირება**

- ალფა ტესტირება, ხარვეზების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა
- ბეტა ტესტირება, ხარვეზების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა
- პროცესის დასრულება

*შესაბამისი ანგარიშის მომზადება და შესყიდველისთვის წარდგენა.*

**ფაზა: 3 სისტემური დანერგვა**

- ელექტრონული სისტემის განთავსება შესაბამის რეალურ სერვერებზე;
- მომხმარებლის სახელმძღვანელო(ები)ს შექმნა;
- ტექნიკური დოკუმენტაციის კორექტირება და დასრულება;
- მომხმარებელთა და მათი ჯგუფების ანგარიშების გახსნა;

*შესაბამისი ანგარიშის მომზადება და შესყიდველისთვის წარდგენა.*

**ტრეინინგი**

- შიდა ორგანიზაციული ტრეინინგების უზრუნველყოფა
- გეგმიური, მიზნობრივი ტრეინინგების უზრუნველყოფა განმახორციელებელი ორგანიზაციებისთვის (სულ მცირე სისტემაში ჩართული უნდა იყვნენ გლობალური ფონდის გრანტის ფარგლებში შესაბამისი მომსახურების მომწოდებლი ორგანიზაციები)

*შესაბამისი ანგარიშის მომზადება და შესყიდველისთვის წარდგენა.*

**ფაზა 4: დანერგვის შემდგომი მხარდაჭერა**

სისტემის ფორმირებისა და დანერგვის ძირითადი პერიოდის შემგომ მიმწოდებელი ვალდებულია (ერთი წლის განმავლობაში) უზრუნველყოს შემსყიდველი ტექნიკური მხარდაჭერით პროგრამული ხარვეზების, უზუსტობებისა და შეკითხვების შემთხვევაში. მხარდაჭერა განხორციელდება როგორც ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა სახის შეხვედრების ფორმით ისე დისტანციურ დონეზე ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით.

**ანგარიშების წარმოდგენის სავარაუდო ვადები**

| მისაწოდებელი ანგარიშები | ვადები |
|---|---|
| ფაზა 1: ბიზნეს პროცესის ანალიზი და შეფასება | ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 კვირის განმავლობაში |
| ფაზა 2: ინფორმაციის შეგროვების ცენტრალიზებული ხელსაწყოს ფორმირება | პირველი ფაზის დასრულებიდან 3 თვე |
| ფაზა 3: სისტემური დანერგვა და ტრენინგები | მეორე ფაზის დასრულებიდან 2,5 თვე |
| ფაზა 4: დანერგვის შემდგომი მხარდაჭერა | 1 წელი |

** მითითებული ვადები საორიენტაციოა და შესაძლებლია პრეტენდენტმა მოახდინოს კორექტირება*

## 6. პრეტენდენტის მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები

1. პრეტენდენტს, ორგანიზაციას ან/და პროექტის ფარგლებში დასაქმებულ ძირითად პერსონალს უნდა ჰქონდეს ღირებული ცოდნა საქართველოს ჯანდაცვითი პროგრამების რეგულაციების და ბიზნეს პროცესების შესახებ, ვინაიდან შესასყიდი მომსახურება მოიცავს არსებული პროცესების ტექნიკურ შეფასებას და პოზიციების შეჯერებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დაინტერესებულ მხარეებზე ექსპერტული მოსაზრების მიწოდებას მონაცემთა შეყვანის, დამუშავების და სხვა მიმართულებებით.

2. პრეტენდენტს, ორგანიზაციას ან/და პროექტის ფარგლებში დასაქმებულ ძირითად პერსონალს უნდა ჰქონდეს სისტემური ინტეგრაციის დასაბუთებული ტექნიკური შესაძლებლობა.

3. განიხილება მხოლოდ ის განაცხადები, სადაც პრეტენდენტი დასაბუთებულად წარადგენს ინფორმაციას ორგანიზაციის ან/და პროექტის ფარგლებში დასაქმებულ ძირითად პერსონალის მიერ მიმდინარედ ან/და წარსულში, კერძოდ კი უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური (ჯანდაცვის მართვის საინფორმაციო სისტემა) პროდუქტების შექმნის შესახებ.

4. პროექტის ფარგლებში დასაქმებულ ძირითად პერსონალს უნდა ჰქონდეს მსგავსი საქმიანობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება.

## 7. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი ინფორმაცია*

პრეტენდენტის მიერ, სისტემაში ატვირთული დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებსა და ინფორმაციას:

- პრეტენდენტის რეკვიზიტები დანართი №1-ის შესაბამისად;
- ანგარიშსწორების პირობები;
- დოკუმენტურად დასაბუთებულ ინფორმაცია ორგანიზაციის ან/და ძირითადი პერსონალის გამოცდილების შესახებ; წინამდებარე დოკუმენტში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად (იხ. „პრეტენდენტის მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები“);
- პრეტენდენტის ორგანიზაციული სტრუქტურა;

- მომსახურების განხორციელების დეტალური მეთოდოლოგია და განხორციელების გეგმა-გრაფიკი დანართი №3;
- პროექტის ბიუჯეტი დანართი №4-ში მოწოდებული ნიმუშის შესაბამისად;
- ძირითადი პერსონალის კომპოზიცია და ფუნქციები; პერსონალის CV.

*იმ შემთხვევაში თუ ასატვირთი დოკუმენტაცია წარმოადგენს დიდ მოცულობას, შესაძლებელია „პრეტენდენტის მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები"-ს დამადასტურებელი დოკუმენტები და პერსონალის CV-ები მოწოდებული იქნას შესაბამისი ფუნქციონირებადი ელექტრონული მისამართის სახით.

## 8. დამატებითი ინფორმაცია:

1. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

2. სატენდერო წინადადების ღირებულება უნდა მოიცავდეს ამ ტენდერით გათვალისწინებული მომსახურებასთან და მოწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, **<u>გარდა დამატებითი ღირებულების გადასახადისა.</u>**
***<u>შერჩევა-შეფასება განხორციელდება წარმოდგენილი წინადადების ფასების მიხედვით. შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების ღირებულებაში გაითვალისწინებს სატენდერო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ს ოდენობას, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისთვის პრეტენდენტი არის დღგ-ს გადამხდელი საქართველოს კანონდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.</u>***

3. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად.

4. სატენდერო წინადადების ღირებულება (ერთეულის და საერთო ფასი) წარმოდგენილი უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

5. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ტექნიკურ დავალებაში აღწერილი ფაზების შესაბამისად. უნაღდო ანგარიშსწორებით, გაწეული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში. ასევე შესაძლებელია გამოყენებული იქნეს წინასწარი გადახდის მექანიზმი, არაუმეტეს სახელშეკრულებო ღირებულების 20%-ისა, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია წინასწარი გადასახდელი თანხის სრული ოდენობით.

7. პრეტენდენტი ვალდებულია გაეცნოს და დაეთანხმოს აფიდავიტის პირობებს, რა სახითაც იგი წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, სატენდერო წინადადების წარდგენამდე. აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა მოცემულია დანართ N2-ში. დანართი N2–ით გათვალისწინებული აფიდავიტის ფორმა დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მხოლოდ საილუსტრაციო მიზნებისთვის. აფიდავიტის პირობებზე დათანხმება ხდება ერთიან ელექტრონულ სისტემაში ელექტრონულად შესაბამის ღილაკზე დაჭერით.

8. პრეტენდენტი უნდა გაეცნოს გლობალური ფონდის ეთიკურ გაიდლაინს http://www.theglobalfund.org/en/library/guidelinestools/ და GEO-H-NCDC საგრანტო ხელშეკრულების თანდართულ სტანდარტულ პირობებს.

9. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან:
სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: დავით მღებრიშვილი, ხათუნა კაპანაძე სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერონული ცენტრი" (მისამართზე: ქ. თბილისი, ასათიანის ქ. №9) მე-5 სართული, ტელეფონი: (995 32) 2398946 – შიდა (187);

**ხელშეკრულება №**
(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

ქ. თბილისი " " " 2015 წ.

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (შემდგომში „შემსყიდველი"), მისი გენერალური დირექტორის მოადგილის _____ სახით და _____ (შემდგომში „მიმწოდებელი"), დირექტორის _____ სახით.

**1. ხელშეკრულების საგანი**

შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA--- აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) დაფინანსებული („საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების მხარდაჭერა, აივ/შიდსით დაავადებულთა სიცოცხლის მაჩვენებლების გაუმჯობესება მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერების გზით" ) პროგრამის ფარგლებში აივ ინფექცია/შიდსის პრევენციული სერვისების ელექტრონული სისტემის შექმნის მომსახურების შესყიდვა (CPV კოდი 48613000 - ელექტრონული მონაცემების მართვა), რაზედაც მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება განახორციელოს წინამდებარე მომსახურება --- ლარად
(შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება").

**2. მომსახურების ღირებულება.**
2.1 მომსახურების ერთეულის ღირებულებაა განისაზღვრება დანართი №4-ის შესაბამისად.
2.2 მომსახურების საერთო ღირებულებაა ---------- ლარი;

**3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**
3.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს „შემსყიდველის" მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი ან/და ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი (უფლებამოსილი) პირი, მოწვეული ექპერტი.
3.2. ინსპექტირების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო საბუთის წარგდენა, ფინანსური ხარჯის და საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა ეკისრება მომწოდებელს.

**4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი**
4.1 „მომსახურების" უხარისხობის შემთხვევაში „შემსყიდველი" წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს" წუნდების მიზეზების მითითებით.
4.2. „მიმწოდებელი" საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის ნაკლის აღმოფხვრას „შემსყიდველის" ინტერესების გათვალისწინებით არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

**5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები**
5.1 „მომსახურების" მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად დანართ N4-ში მითითებული ფაზების მიხედვთ, გეგმა-გრაფიკით გათვალიწინებულ ვადებში.
5.2 „მომსახურების" მიწოდება სრული მოცულობით განხორციელდება 2015 წლის - - - - დეკემბრამდე.

**6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**
6.1. მიღება-ჩაბარების წინ განხორციელდება გაწეული მომსახურების ინსპექტირება, რომელსაც განახორციელებს ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტით განსაღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი.
6.2. მიღება-ჩაბარების აქტებს შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი, ხოლო მომწოდებლის მხრიდან მის მიერ უფლებამოსილი პირი.
6.3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა, უნდა წარმოადგინოს – მიმღები ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი მიღება–ჩაბარების აქტი, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა *(საჭიროების შემთხვევაში)* გაწეული მომსახურების დასახელების და ღირებულების მითითებით.
6.4. მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის 6.3. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარდგენა მომსახურების სრული ან/და ეტაპობრივი მიწოდების დასრულებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. პასუხისმგებლობა შემსყიდველის მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღების ან მიუღებლობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯებისათვის ეკისრება მომწოდებელს.
6.5. ამ პუნქტის 6.3. ქვეპუნქტში მითითებულ დოკუმენტაციაში (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა) მითითებული უნდა იქნეს ხელშეკრულების ნომერი.

**7 ანგარიშსწორება**

7.1. ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. მომსახურების ეტაპობრივად ან/და სრულად დასრულების და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში.

7.2. ანგარიშსწორების საფუძველს წარმოადგენს: ანგარიშ-ფაქტურა (ები) მომსახურების აღწერით, მომსახურების მოცულობის, მითითებით, მიღება-ჩაბარების აქტი.

**8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მიიღოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მომსახურება.

8.2. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება მომსახურების ხარისხის ან/და მოწოდების პირობების გაუარესების გამო, აგრეთვე მე-13 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

8.3 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) განხორციელებული მომსახურების ღირებულების დროული გადარიცხვა მომწოდებლის საბანკო ანგარიშზე;

8.4. მომწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს განხორციელებული მომსახურების ღირებულების დროული გადარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე;

8.5. მომწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ხარისხის საქონლის მოწოდება შემსყიდველისათვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდა და არ მოსთხოვოს შემსყიდველს სხვა არავითარი გადასახადის ან დამატებითი თანხის გადახდა

გ) მიმწოდებელი ვალდებულია გაეცნოს და დაიცვას გლობალური ფონდის (დონორის მიერ პერიოდულად განახლებადი და გლობალური ფონდის ვებ. გვერდზე http://www.theglobalfund.org/en/documents/governance/ განთავსებული) „მიმწოდებლების ქცევის კოდექსი" და ასევე უზრუნველყოს მისი გაცნობა ქვეკონტრაქტორებისთვის.

**9. პირგასამტეხლო**

9.1. მომსახურების მოწოდებისთვის განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე გაანგარიშებით იხდის პირგასამტეხლოს მოსაწოდებელი მომსახურების ღირებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

9.2. ხელშეკრულების მე-7 პუნქტით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.

9.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.4. იმ შემთხვევაში, თუ მხარე ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებას მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს ოდენობით.

9.5. საჯარიმო თანხის ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს ოდენობით დაფიქსირების შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.6. მიმწოდებელი ვალდებულია ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაკისრებული პირგასამტეხლო გადაიხადოს წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

**10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ფასები**

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება უნდა გაფორმდეს წერილობით, ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**11. ფორს-მაჟორული გარემოებები**

11.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

11.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);
ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;
გ) ეპიდემიები;
დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;
ე) ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.
11.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.
11.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).
11.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.
11.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
11.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.
11.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

**12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**
12.1 მხარეთა შორის წამოჭრილი დავა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2. შემსყიდველმა და მომწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
12.2 თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**13. ხელშეკრულების შეწყვეტა**
13.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულების ვადის გასვლით, ხელშეკრულების პირობების შესრულებით ან მხარეთა შეთანხმებით.
13.2. ხელშეკრულების 13.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს აღნიშნულის თაობაზე.
13.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.
13.4. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ასევე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში.

**14. სხვა პირობები**
14.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
14.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
14.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
14.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
14.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.
14.6. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.
14.7. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მომწოდებელთან“, ორი - „შემსყიდველთან“.

14.8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2016 წლის ---------- ჩათვლით.

ხელშეკრულების დანართები:
ხელშეკრულებას თან ახლავს დანართები, რომლებიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია;
-

- ✓ დანართი 3 - პროექტის განხორციელების საორიენტაციო გეგმა-გრაფიკი
- ✓ დანართი 4 - პროექტის ბიუჯეტი

**15. მხარეთა რეკვიზიტები**

| „შემსყიდველი“ | „მიმწოდებელი“ |
|---|---|
| **სსიპ "ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კოტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"** | |
| ქ.თბილისი, ასათიანის ქ. № 9 | |
| ს/კ 211324351 | |
| სახელმწიფო ხაზინა | |
| ბ/კ TRESGE22 | |
| ა/ა GE24NB0330100200165022 | |
| _____ | |

1. **რეკვიზიტები:**

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

ანგარიშის ნომერი:

სატენდერო წინადადება ძალაშია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წინადადებების მიღების დაწყების თარიღიდან ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

---

**დირექტორი**

# აფიდავიტი

## სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

მე, ქვემოთ ხელმომწერი,_____

*(სახელი, გვარი, პ/ნ)*

_____სახელით,

*(პრეტენდენტის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი)*

წარვუდგენ რა სატენდერო წინადადებას _____

_____

*(შემსყიდველი ორგანიზაცია და სატენდერო კომისიის დასახელება)*

მის მიერ_____

_____

*(ტენდერის გამოცხდების თარიღი და შესყიდვის ობიექტი)*

შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

1. ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
2. უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;
3. ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ.
4. ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი „კონკურენტი“ აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში.
5. მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა) სატენდერო წინადადების ფასი;

ბ) სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;

გ) სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;

დ) ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს.

ე) შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება.

6. სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

_____

*(პრეტენდენტის რეკვიზიტები)*

_____

*(პრეტენდენტის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი და ხელმოწერა)*

_____*(თარიღი)*

*სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის–სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლის შესაბამისად.*

დანართი 3

## პროექტის განხორციელების საორიენტაციო გეგმა

| | |
|---|---|
| **პროგრამის დასახელება/ გრანტის ნომერი:** | **საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების მხარდაჭერა, აივ/შიდსით დაავადებულთა სიცოცხლის მაჩვენებლების გაუმჯობესება მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერების გზით, GEO-H-NCDC** |
| **ხელშეკრულება N:** | |
| **პროექტის დასახელება:** | |
| **ორგანიზაციის დასახელება:** | |
| **პროექტის დაწყების და დასრულების ვადები:** | |

| N | ამოცანა და შესაბამისი ღონისძიებების ჩამონათვალი | ღონისძიების განხორციელების გრაფიკული ვადები | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |

გეგმა-გრაფიკში ცვლილება დასაშვებია შემსყიდველთან შეთანხმებით.

## პროექტის ბიუჯეტის/განფასების ნიმუში

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება/გრანტის ნომერი: | საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების მხარდაჭერა, აივ/შიდსით დაავადებულთა სიცოცხლის მაჩვენებლების გაუმჯობესება მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერების გზით, GEO-H-NCDC |
| ხელშეკრულება N: | |
| პროექტის დასახელება: | |
| ორგანიზაციის დასახელება: | |
| პროექტის დაწყების და დასრულების ვადები: | |

| მისაწოდებელი ერთეული | ღირებულება | მიწოდების ვადა |
|---|---|---|
| ფაზა 1: ბიზნეს პროცესის ანალიზი და შეფასება | | |
| ფაზა 2: ინფორმაციის შეგროვების ცენტრალიზებული ხელსაწყოს ფორმირება | | |
| ფაზა 3: სისტემური დანერგვა და ტრენინგები | | |
| სულ | | |

*შემყიდველი უფლებამოსილია მომწოდებლისგან მოითხოვოს ხარჯების დეტალური განაწილება ფლობალური ფონდის ბიუჯეტის შედგენის გაიდლაინის შესაბამისად